

მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

- 1.1. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) მომსახურების ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები; (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი. ამასთან:
 - 1.1.1. მომსახურების ხელშეკრულების, აგრეთვე ძირითადი პირობების ტექსტსა და დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება დანართ(ებ)ის პირობებს;
 - 1.1.2. დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ დანართის პირობებს, რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართლებრივითიერების მოსაწესრიგებლად.
 - 1.1.3. მომსახურების ხელშეკრულების პირობებსა და ძირითადი პირობების ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება მომსახურების ხელშეკრულების პირობებს;

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. ანგარიში - ბანკში არსებული შემსრულებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 2.1.2. ანგარიშწირება - სხვადასხვა საშუალებებით (მათ შორის საბანკო დაწესებულებების მეშვეობით) გადახდელი პირის მიერ ფულადი სახსრების მიმღები პირისათვის გადაცემის შესრულების პროცესი;
 - 2.1.3. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე - ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოიწვიოს საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი ან/და მიენიჭოს სხვა პირების მიმართ მოთხოვნის უფლება;
 - 2.1.4. ბანკი - მომსახურების ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.5. განცხადებები და გარანტიები - ხელშეკრულების ძირითადი პირობების მე-3 მუხლში მოცემული შემსრულებლის განცხადებები და გარანტიები;
 - 2.1.6. დანართი - მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ), რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
 - 2.1.7. ინტელექტუალური პროდუქტი - მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ბანკის მოთხოვნით შექმნილი ნებისმიერი პროდუქტი/ნაწარმოები, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად დანიშნულების, გამოატვის ფორმის და საშუალების), რომელთა მიმართაც არსებობს კანონმდებლობის საფუძველზე ინტელექტუალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები (მათ შორის ინტელექტუალურ პროდუქტთან დაკავშირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებები, პატენტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/გამოყენებასთან და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებები).
 - 2.1.8. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
 - 2.1.9. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
 - 2.1.10. მესამე პირ(ები) - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.11. მომსახურების ხელშეკრულება - მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც წინამდებარე პირობებთან და სხვა დანართებთან ერთად ქმნის ხელშეკრულებას.
 - 2.1.12. ძირითადი პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რომელიც წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - www.libertybank.ge;
 - 2.1.13. მოძრავი ნივთი - ნებისმიერი ნივთ(ები), რომელიც კანონმდებლობის მიხედვით არ არის უძრავი ნივთ(ებ);

- 2.1.14. მწარმოებელი - პირი, რომელიც აწარმოებს საბოლოო პროდუქტს (მათ შორის პროდუქტის ძირითად ელემენტს ან/და მის ნაწილს), აგრეთვე პირი რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გასაყიდად, გასაქირავებლად ან სხვა ფორმით სარგებლობისთვის;
- 2.1.15. მხარე/მხარეები - ბანკი ან/და შემსრულებელი კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.16. ნივთობრივად უნაკლო - მოძრავი ნივთი ან/და უძრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შესაბამის შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ მოძრავი ნივთი ან/და უძრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუკი იგი/ისინი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივად უნაკლო უთანაბრდება, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებისგან განსხვავებული ან უფრო ნაკლები რაოდენობის მოძრავი ან/და უძრავი ნივთის დამზადება.
- 2.1.17. პირგასამტეხლო (ჯარიმა) - ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდაც მხარეს დაეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებითვე განსაზღვრული პირობებით. ამასთან, პირგასამტეხლოს დაანგარიშება დაიწყება დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს წარმოეგება, მხოლოდ მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.
- 2.1.18. პირი/პირები - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ები)), არასამქარემო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ები) ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;
- 2.1.19. პროდუქტი - ნაწარმოები, მოძრავი ნივთი ან მისი ნაწილი, გარდა გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, ნადირობის ან/და მიწათმოქმედების შედეგად მიღებული ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ(ებ)ისა.
- 2.1.20. საანგარიშო თვე - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- 2.1.21. საბანკო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას.
- 2.1.22. უფლებრივად უნაკლო - მოძრავი ნივთი, უძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის მიმართ მესამე პირ(ებს) არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები ბანკის წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ ბანკს პრეტენზია ადინიშნული უფლებების გამო;
- 2.1.23. უძრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი(ებ)ი მასზე არსებული შენობა-ნაგებობა(ებ)ით ან მის/მათ გარეშე, შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობა(ებ)ის ერთეული(ები) (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა/ნაგებობები;
- 2.1.24. შემსრულებელი - მომსახურების ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
- 2.1.25. ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი - ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადახდებლო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული მხარეთა ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას.
- 2.1.26. ქვეკონტრაქტორ(ები) - მესამე პირ(ები), რომლებთანაც არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე შემსრულებელი უზრუნველყოფს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.27. ხელშეკრულება - მხარეთა შორის გაფორმებული: (ა) მომსახურების ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები და ნებისმიერი დამატებითი დანართი, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3. განცხადებები და გარანტიები

- 3.1. შემსრულებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 3.1.1. წარმოადგენს უფლებასუნარიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც ხელშეკრულების დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);
 - 3.1.2. ხელშეკრულების დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან (მათ შორის შემსრულებლის იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, შემსრულებლის დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებებთან/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დადგევას და არ წარმოშობს მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე შეცვლების უფლებას;

- 3.1.3. ხელშეკრულების დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი ფორს-მაჟორის არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვანად შესრულებას;
- 3.1.4. შემსრულებელი მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 3.1.5. წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 3.1.6. ხელშეკრულების დადების მიზნით, ზანკისათვის წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტები), დავალება (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;
- 3.1.7. შემსრულებელი არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, შემსრულებლის რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვნის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას.
- 3.1.8. ხელშეკრულების დადებისას ზანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, შემსრულებლის ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და შეტყუარას, ზანკს არ უსარგებლია შემსრულებლის მიმდე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოყენებია ბოროტად ზანკის სახაზრო ძალაუფლება.
- 3.2. შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ზანკს ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.
- 3.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებას დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს ზანკის მიერ ხელშეკრულებაზე ცალმხრივი უარის სათქმელად.

4. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 4.1. შემსრულებელმა პირადად უნდა შეასრულოს მომსახურება. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პირად შესრულებას უთანაბრდება მომსახურების შესრულება შემსრულებლის თანამშრომლ(ებ)ის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4.2. თუ მომსახურება ითვალისწინებს ზანკისათვის მომრავი ნივთის ან/და უძრავი ნივთის მიწოდებას/გადაცემას, შემსრულებელმა ზანკს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უწყალო მომრავი ან/და უძრავი ნივთი.
- 4.3. თუ მომსახურება ითვალისწინებს ზანკისათვის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის (მათ შორის ინტელექტუალური პროდუქტის) მიწოდებას, შემსრულებელმა ზანკს უნდა წარუდგინოს უფლებრივად უწყალო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მათ შორის ინტელექტუალური პროდუქტი).
- 4.4. ზანკი უფლებამოსილია შემსრულებლისაგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია ზანკს მიაწოდოს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის სათანადო წესით დამოწმებული ასლები.
- 4.5. ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ ათავისუფლებს შემსრულებელს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისგან, მიუხედავად იმისა ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შერჩევაში ზანკმა მიიღო თუ არა რაიმე სახის მონაწილეობა.
- 4.6. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული შემსრულებლის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა ზანკის მიერ არ ანაზღაურდება.
- 4.7. შემსრულებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ზანკს ნებისმიერი იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების დადებისას შეუძლებელი იყო და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების საფასურის გაზრდა (შემდგომში - შევცვლილი გარემოებები).
- 4.8. ზანკის მოთხოვნისას, შემსრულებელმა უნდა წარუდგინოს ზანკს ზანკისათვის მისაღები ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება შემსრულებლის მიერ მითითებული შევცვლილი გარემოებების ნამდვილობა და გავლენა მომსახურების საფასურის მოცულობაზე.
- 4.9. შევცვლილი გარემოებების არსებობის დადასტურებისას ზანკი უფლებამოსილია: (ა) მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება აღნიშნული გარემოებებისადმი ან (ბ) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

- 4.10. თუ მომსახურება ან მისი ნაწილი სრულდება ზანკის მასალით, ზანკის მიერ შემსრულებლისათვის მასალის (მათ შორის უძრავი ან/და მოძრავი ნივთების) გადაცემა, ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, განხორციელდება მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 4.11. შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გააფრთხილოს ზანკი, რომ: (ა) ზანკისაგან მიღებული მასალა (მათ შორის უძრავი ან/და მოძრავი ნივთები) უხარისხო ან/და გამოუსდევარია; (ბ) ზანკის მითითებების შესრულება გამოიწვევს მომსახურების უხარისხო შესრულებას (ნამუშევრის არასიმტკიცეს, გამოუდგეგრობას და სხვა); ან/და (გ) არსებობს შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია ზანკის მიერ და რომელიც საფრთხეს უქმნის მომსახურების ხარისხს (ნამუშევრის სიმტკიცეს ან/და ვარგისიანობას). ამასთან, ზანკი შემსრულებლის გაფრთხილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის სიმცირის შემთხვევაში, ზანკის მიერვე განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოფს გაფრთხილებაში მითითებული გარემოებების აღმოფხვრას.
- 4.12. ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში ან/და მომსახურების დასრულებისას, შემსრულებელი ვალდებულია დაუბრუნოს ზანკს მომსახურების შესრულებისას გამოყენებული ზანკის მასალა (მათ შორის მოძრავი ან/და უძრავი ნივთები).
- 4.13. ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ზანკის მიერვე განსაზღვრული ფორმით, შემსრულებელი ვალდებულია: (ა) ზანკს მასალა დაუბრუნოს მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე; (ბ) წარუდგინოს ზანკს აღნიშნული მასალის (მათ შორის მოძრავი ან/და უძრავი ნივთების) ხარჯვის დასაბუთებული ანგარიშ(ებ)ი.
- 4.14. შემსრულებლის მიერ ზანკისათვის მომსახურების (მათ შორის უძრავი ნივთის, მოძრავი ნივთის ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის) მიწოდება, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, უნდა დასტურდეს მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.
- 4.15. მიუხედავად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობის ან არარსებობისა, თუ შემსრულებლის მიერ ზანკისათვის მიწოდებული მომსახურება ან მისი ნაწილი (მათ შორის უძრავი ნივთი, მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) არ არის უფლებრივად ან/და ნივთობრივად უწყალო, ზანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი, ზანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში (დამატებითი ვადა), ვალდებულია თავისი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ნაკლი ან მიაწოდოს ზანკს ახალი ნაკეთობა. ამასთან, შემსრულებლისათვის განსაზღვრული/დამატებითი ვადის უშედეგად გასვლის შემთხვევაში, ზანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს შემსრულებელს ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება.
- 4.16. თუ ვალდებულების დარღვევის სასაითიდან გამომდინარე ზანკის მიერ დამატებითი ვადა არ გამოიყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. ზანკის მიერ შემსრულებლის გაფრთხილების შემთხვევაში, ზანკი უფლებამოსილია: (ა) თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს შემსრულებელს ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება ან/და (ბ) სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
- 4.17. თუ შემსრულებელმა მომსახურების შედეგად ზანკისათვის გადაცემული უძრავი ან/და მოძრავი ნივთებისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი (როგორც უფლებრივი ასევე ნივთობრივი) წარმოშობს ზანკის მოთხოვნის უფლებას (მათ შორის ნაკლის გამოსწორების ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას).

5. ინტელექტუალური პროდუქტთან დაკავშირებული დამატებითი პირობები

- 5.1. ზანკის მიერ შემსრულებლისთვის მიწოდებული ან შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ზანკისათვის შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტი წარმოადგენს ზანკის ექსკლუზიურ საკუთრებას. ამასთან შემსრულებლის მიერ ზანკისათვის ინტელექტუალური პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში შემსრულებელი სრულად გადასცემს ზანკს ინტელექტუალურ პროდუქტთან დაკავშირებულ ყველა საავტორო და მოძიებაზე უფლებას (მათ შორის როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ უფლებებს), პატენტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/გამოყენებასთან და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებებს, რომელთა გადაცემა დასაშვებია კანონმდებლობით.
- 5.2. იმ შემთხვევაში თუ ზანკის მიერ ინტელექტუალური პროდუქტი სარგებლობა ან/და ინტელექტუალური პროდუქტის გამოყენება ან/და განკარგვა საჭიროებს შემსრულებლის ან/და ინტელექტუალური პროდუქტის შექმნაზე მომუშავე სხვა პირის ან/და პირის, რომლის ინტელექტუალური პროდუქტი ჩართულია შემსრულებლის მიერ ზანკისათვის გადაცემულ ინტელექტუალურ პროდუქტში, თანხმობას/დასტურს/მოწონებას, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამგვარი თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება და ზანკისათვის წარდგენა ზანკისათვის ინტელექტუალური პროდუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაცემამდე, ხოლო ინტელექტუალური პროდუქტის ზანკისათვის გადაცემისას ასეთის ადრ არსებობის შემთხვევაში, თანხმობის/დასტურის/მოწონების გაცემა ან/და მოპოვება და

ბანკისათვის წარდგენა ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკის მიერვე განსაზღვრული ფორმით, შინაარსით და პირობებით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ინტელექტუალური პროდუქტი შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ან/და ინტელექტუალური პროდუქტის შექმნისას გამოყენებულია შემსრულებლის ან/და მესამე პირის პერსონალური მონაცემები შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება აღნიშნული მონაცემების გამოყენებაზე/დამუშავებაზე, როგორც შემსრულებლისა და ბანკის ისე ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

5.4. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული მიუთითოს ინტელექტუალური პროდუქტზე ავტორის ვინაობა.

5.5. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მასალა გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების მიზნებისთვის და არ დაუშვას აღნიშნული მასალის(ებ)ის გასაჯაროება მესამე პირებზე გადაცემა ან/და სხვა სახით გამოყენება, თუ ბანკთან შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია და კონტროლი

6.1. ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს შემსრულებლის ან/და ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.2. შემსრულებელი ვალდებულია ბანკის წერილობითი მოთხოვნისას უზრუნველყოს ბანკი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.2. მიუხედავად ძირითადი პირობების 6.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, შემსრულებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

7.2.1. შემსრულებლის ნებისმიერი სახის ბანკში არსებული ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოერთოს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირობლად;

7.2.2. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოერთოს შემსრულებლის ანგარიშიდან;

7.2.3. ბანკის წინაშე არსებული შემსრულებლის ვალდებულებები გაქვითოს შემსრულებლის წინაშე არსებულ ბანკის ნებისმიერ ვალდებულებაში (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებაში და სხვა).

7.3. შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ბანკისაგან მიღებული მასალის (მათ შორის მოძრავი ან/და უძრავი ქონების) ან/და შემსრულებლის მიერ დამზადებული ნაკეთობის დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების შედეგად.

7.4. ხელშეკრულების ან/და საგარანტიო ვადის მოქმედების განმავლობაში შემსრულებელი პასუხისმგებელია მესამე პირებისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის (ზარალისათვის), რომელიც გამომდინარეობს მომსახურებიდან.

7.5. თუ მომსახურება ითვალისწინებს შემსრულებლის მიერ ბანკისათვის პროდუქტის მიწოდებას და შემსრულებელი წარმოადგენს პროდუქტის მწარმოებელს, შემსრულებელი პასუხისმგებელია პროდუქტით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის/ზარალისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა შემსრულებელი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულ პირთან.

8. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თუ მომსახურების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

8.2.1. ბანკის მიერ, თუ შემსრულებელი სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად

ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

8.2.2. ბანკის მიერ, ცალმხრივად;

8.2.3. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.2.4. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ბანკს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და ბანკს მიხანწეონილად მიაჩნება ხელშეკრულება უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, ხელშეკრულება შეიძლება უფრო მოკლე ვადებში შეწყდეს.

8.4. იმ შემთხვევაში თუ ბანკი მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს შემსრულებელს მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი, რომელიც 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში არ უნდა იყოს 10 (ათი) კალენდარული დღეზე ნაკლები, ხოლო 1 (ერთი) თვეზე ნაკლები ხნის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში - 1 (ერთი) კალენდარულ დღეზე ნაკლები.

8.5. ბანკის მიერ, გარდა ძირითადი პირობების 8.2.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად. საფასურის გადახდა ათავისუფლებს ბანკს ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8.6. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მხრიდან შეწყვეტა განპირობებულია მნიშვნელოვანი საფუძველით და ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული მომსახურების მიმართ გააჩნია ინტერესი;

8.7. თუ ხელშეკრულება შემსრულებელმა მაშინ შეწყვიტა, როდესაც ბანკი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, შემსრულებელმა უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტით ბანკისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი (ზარალი), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემსრულებელს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

8.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში:

8.8.1. შემსრულებელი ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს ყველაფერი რაც მან მიიღო მომსახურების შესასრულებლად (მათ შორის მოძრავი ან/და უძრავი ქონება).

8.8.2. ბანკი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ ბანკისათვის გადასახდელის მოცულობის ფარგლებში არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში არსებული მომსახურების საფასური, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) შემსრულებლის მიერ ბანკისათვის გადასახდელის ანგარიშში.

8.9. ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

8.10. თუ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მაშინ მხარეები იხელმძღვანელებენ შესაბამისი კანონმდებლობით.

9. ანგარიშსწორება

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები, გარდა მომსახურების საფასურისა, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნას) შესაბამისი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობიდან (პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

9.2. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღოდ ანგარიშწორების წესით.

9.3. უნაღოდ ანგარიშწორების შემთხვევაში ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს ხელშეკრულებაში მითითებულ ან მხარეთა მიერ დამატებით მიწოდებულ/განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

10. კომუნიკაცია

10.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს მხარეს მომსახურების ხელშეკრულებაში ან/და ბანკთან არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე

პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და **ზანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

10.1.1. **შემსრულებლის** მიერ **ზანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ზანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილას, **ზანკის** მიერ **შემსრულებლისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

10.1.2. **ზანკის** მიერ **შემსრულებლისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **შემსრულებლისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **შემსრულებლის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.3. **ზანკის** მიერ **შემსრულებლისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **შემსრულებლის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.4. **ზანკის** მიერ **შემსრულებლისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და **ზანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

10.2. იმ შემთხვევაში თუ **შემსრულებელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ზანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ზანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

11. კონფიდენციალურობა

11.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

11.2. **კონფიდენციალური ინფორმაციის** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

11.3. **შემსრულებელი ზანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით, **მესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **მესამე პირ(ებ)ისაგან** მიიღოს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან), **შემსრულებლის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

12. პრეტენზიები და დავები

12.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

12.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ზანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ზანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

13.2. **მხარე** რომელსაც წარმოუვა **ფორს-მაჟორი**, მიუხედავად იმისა დასრულებულია თუ არა მისი მოქმედება, ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან 3 (სამი) **საბანკო დღის** ვადაში მიაწოდოს მეორე **მხარეს** **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)თან** დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებ(ებ)ით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.

13.3. **შემსრულებლის** მიერ **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ზე** მითითებისას მათი არსებობა ან/და არარსებობა უნდა დასტურდებოდეს **კანონმდებლობის** საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც **ზანკს** უნდა წარედგინოს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შესახებ **ზანკისათვის** ინფორმაციის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

13.4. **სტანარტული პირობების** 13.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამის **მხარეზე** ვრცელდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შეწყვეტის შემთხვევაშიც.

13.5. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

13.6. **შემსრულებელი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი სხვა ვალდებულებები თუ (ა) **ფორს-მაჟორის** მოქმედება არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვან შესრულებაზე და (ბ) **ზანკს** აღნიშნული შესრულების მიმართ გააჩნია ინტერესი.

13.7. იმ შემთხვევაში თუ, **ფორს-მაჟორის** მოქმედებისას: (ა) **ფორს-მაჟორის** ვადის ხანგრძლივობა აღემატება 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეს ან (ბ) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმართ **ზანკს** აღარ გააჩნია ინტერესი - **ზანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს **ხელშეკრულების** სრულად ან/და ნაწილობრივ შეწყვეტა.

14. შემსრულებლის სიმრავლე

14.1. **ხელშეკრულების** მიზნებისათვის, „**შემსრულებელი**“-ს დეფინიციამო მოცემულ **პირებზე ხელშეკრულების** პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **პირის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ **პირზე**.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **შემსრულებელი**:

14.2.1. თითოეული ასეთი **შემსრულებელი** წარმოადგენს **ზანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებებზე;

14.2.2. თითოეული **შემსრულებლის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად **ზანკის** სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, დაზღვევის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

14.2.3. ერთ-ერთ **შემსრულებელთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა **შემსრულებლის** მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ **ზანკის** მიერ რომელიმე **შემსრულებლის** მიმართ თავისი უფლებების გამოყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა **შემსრულებლებზე** და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

14.2.4. ერთ-ერთი **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, **ზანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **შემსრულებელს** და მის მიმართ ისარგებლოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

14.2.5. **ზანკი** უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ **შემსრულებელს** როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სოლიდარული ვალდებულება ვრცელდება **შემსრულებლის** უფლებამონაცვლევებსა და სამართალმემკვიდრეებზე მათი წილის შესაბამისად. თუ ერთი **შემსრულებლის** ვალდებულება შესრულებს სხვა ნებისმიერი **შემსრულებელი** კრედიტორის წინაშე მას უნდადგება რეგრესის უფლება იმ **შემსრულებლის** მიმართ, ვის ვალდებულება შეასრულა. თუ ერთ-ერთი **შემსრულებელი** გადახდისუუნარო გახდება, ასეთ შემთხვევაში მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულება თანაბრად ნაწილდება სხვა **შემსრულებლებზე**.

14.2.6. **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა დასაშვებია ყველა **შემსრულებლის** მიერ **ზანკისთვის** წარდგენილი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

15. სხვა პირობები

15.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ **ხელშეკრულებას**, სრულად ესმით **ხელშეკრულების** პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი **მხარეთა** მიერ.

15.2. თითოეული **მხარე** (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.

15.3. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ზანკის** მოთხოვნა **შემსრულებლის** მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ზანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

15.4. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე მათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას,

ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

15.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

15.6. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან აღნიშნული მხარის მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

15.7. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

15.8. შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ზანკი მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

15.9. ხელშეკრულების პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება მხარეებზე, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

15.10. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა ზანკის იურიდიული მისამართი.

15.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება შემსრულებელს.

15.12. ხელშეკრულებაში არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია ხელშეკრულების შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

15.13. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერამდე მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანზე არსებული სიტყვიერი ან/და წერილობითი შეთანხმებები ჩაითვლება ძალადაკარგულად.

15.14. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას ეგზემპლარებთან მიმართებაში.

15.15. მომსახურების ხელშეკრულების თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.